

# ს ი ა ს ბ ი

22/11  
5  
45

## საბაზუხულო თესვა ჩვენში

ნახ. ს. ნადარციშვილი




1.

მაწინავე ტრაქტორიბი,  
როს წავიდა იმში აღე,  
მან მეუღლეს დაუბარა,  
„შრომის ფრონტზე შენ შემცვალი“



2.

და მეუღლე წითელ მხედრის  
დაეუფლოს ტრაქტორს ჩქარობს,  
ის ამართლებს იმედს ქმრისას,  
ცდილობს ვაჟაც დაედაროს.



3.

ცოლი დაჯდა ქმრის ადგილას,  
ხნავს და სთესავს, სთესავს ჩქარა,  
აგუგუნებს—იგი ტრაქტორს  
და სოფელი გაახარა.



4.


აღეს ტანკი ბრძოლის ველზე  
პრისხანებით სჭექს და შკეხავს,  
დაპრეცია ოკუპანტებს—  
იხიც ხნავს და იხიც სთესავს.

# გაყვანილი ვაჭრობა

ტყვედ წამოყვანილმა რუმინელმა ევრეტორმა თანამ განაცხადა: „ამ დღეებში ჩვენი ნაწილის კაპიტანმა დემიტრესკუმ ჩამოჭრიდა ჯარისკაცები და გამოუცხადა, რომ თქვენი ულულუა შაშხი, ნამცხვარი და სხვა საკვები არ მოგეცემათ, რადგან ის მოიპარეს და შექვამეს სხვებმა“.

გაყვებიდან

ნახ. ი. კოტკოვისა



კაპიტანი: ჯარისკაცებო, დღეს თქვენ გერგებათ მსუქანი შაშხი.

ჯარისკაცები: გმადლობთ ბატონო კაპიტანო!

კაპიტანი: მაგრამ თქვენ შაშხს ვერ მიიღებთ, რადგან ის უკვე შექვამეთ...

ჯარისკაცები: გმ...

კაპიტანი: თქვენ დღეს გურგებათ თაფლიანი პური, კარაჭი და ხორცი.

ჯარისკაცები: გმადლობთ, ბატონო კაპიტანო!

კაპიტანი: მაგრამ ვერც ამ ულულუას მიიღებთ, რადგან ისიც შექვამეთ...

ჯარისკაცები: გმ...

## პრის ხეივანის სიმატლა

ბერლინის ერთ მივარდნილ უბანში გაჭირვებით ცხოვრობდა მოხუც ბელოსან ერთი ხეივანის ოჯახი. ვიღაცელმ მეთრის არშიაში ნამსახური კაცია, მახურის ტბებთან ორივე ფეხი დაკარგა და როგორც ინვალიდმა, იოლი ხელობა შეისწავლა: იგი ამზადებდა თაბაშირის თოჯინებს, სხვადასხვა სათაშაშოებს, ლარნაკებს და ნაწილობრივ არჩენდა ოჯახს. არც თუ ისე ძალიან უჭირდა მას ლუკმის შოვნა, რადგან თოჯინები ყოველთვის საინტერესო გარეგნობისა გამოდიოდა: დაყვანული, ჯუჯა და სასაცილო გამომეტყველებისა. ამის გამო ბავშვებს მოსწონდათ და ხეივანის ნაკეთობა მუდამ სალდო-ზოდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ფაშისტები ჩაუდგინეს გერმანიას სათავეში, ერთი ხეივანის ხელიც მოიკარა.

„ფიურერმა“ გააუქმა ბავშვების გასართობი დაწესებულებანი, ან უფრო სწორად — პატარა ყაზარმებად გადააქცია ისინი, სადაც მხოლოდ „არაფლი ვარჯიშობის“ სული დაამკვიდრა.

არა მხიარული გართობა, არამედ შოლუშული აღზრდა — აი რა სჭირათ არიელ ბავშვებს, რომ ისინი გვერდშივე შეეჩვიონ. ომს, სისხლისღვრას, დაწვას, დანგრევას — აი „ფიურერის“ მეთოდი.

ამ მეთოდმა, ხეივანსაც წაართვა ლუკმა. მოხუცმა ინვალიდმა მათხოვრობაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ლუკმას ვერ შოულობდა.

— დღეს მთელი გერმანიის ხალხი მათხოვრად არის ქცეული ჩვენი ფიურერის წყალობით, — ბუზუნობდა იგი, — მათხოვარს რა მოწყალების გაღება შეუძლიან? ხალხის დოვლათი და მონაგარი მხოლოდ ერთი მუქა ხროვის ხელში გადავიდა, მათთან კი, ჩვენ არ მიგვესვლება, ისევ რაიმე ხერხი უნდა გამოგვაზაო, რომ ამ ძალღმრთე რეჟიმს შევეგუო, — სთქვა ერთ დღეს ხეივანმა და გადასწყვიტა თოჯინების მაგიერ პიტლერისა და მისი შეგობრების ბიუსტების დამზადებას შესდგომოდა.

შეუდგა კიდევ. მაგრამ ერთობ უიღბლო გამოდგა მისი ცდა — ძალღმრთე რეჟიმთან „შეგუებისა“. მისი დამზადებული ბიუსტები და ტანდაკებები ისევე დაქვანულ-დაღრეჯილები გამოდიოდა, როგორც თოჯინები.

მაგალითად — დამზადებდა პიტლერის ბიუსტს, შეხედავდა მეორე დღეს და შეკრთებოდა: ბიუსტი ცოფიან მგელსა ჰგავდა, გააკეთებდა გიბელსს — გაშრებოდა თაბაშირი და იგი პირწივარდნილი მაიმუნი იყო, პერინგი ნაგავის სახეს ღებულობდა, პიმლერი — მწვერისას. ისინი ამავე დროს იმ ცხოველებზე უფრო დაქვანულნი და სასაცილონი იყვნენ, რომლებსაც ჰგავდნენ.

ამიტომ მათი ბაზარზე გატანა ვერ გაეხდენა ხეივანს. ამტკრევდა და ხელახლად აკეთებდა და ასე, დაუსრულებლივ.

ამ ბოლო დროს ერთი მეტად ახირებული ამავეი

შეგობდა ამ უიღბლო ბელოსანის თაჯას: ერთ დღით, როცა გერმანიის ყველა მუნტუში გებელსის რადიო-ტრანზისიანე გაუქმდა, იყო, ხეივანი თავისი ფანჯარისკენ დასრულდა, ბილ სახელოსნოში ოჯდა და წინაღობით გამოძეწვილ ბიუსტებს ათვლიერებდა. მას ეხმარებოდა ცოლი — მართა და ბავშვი — ფრიცი. ბავშვი გაუფრთხილებლად ახეთქებდა თაროზე თხელი თაბაშირის ნაძერწ ფიგურებს. მამა მას აფრთხილებდა, ასწავლიდა და უსაყვედურებდა:

— ხომ გითხარი მაგ მაიმუნს ასე ნუ ჰკიდებ მეთქი? — შეუყვირა მან შვილს, როცა ფრიცმა გებელსის ფიგურა ფრაკის ბოლოთი ჩამოჰკიდა ლურსმანზე.

— რომელ მაიმუნს? — შეეკითხა ბავშვი.  
— აი ეგ მაიმუნი, გებელსი, ფრაკით კი არა, კისრით უნდა ჩამოიკიდოს.

ბავშვმა გაასწორა და გებელსი, რომელიც მართლაც მაიმუნს ჰგავდა — კისრით ჩამოჰკიდა. სწორედ ამ დროს, რადიოში ისმოდა გებელსის ტრანზი:

„ამ გაზაფხულზე ჩვენი არმია დაიწყებს გრანდიოზულ შეტევებს ყველა ფრონტზე, ჩვენი არმიის დიდი მთავარსარდალი ფიურერი უკვე ემზადება გენერალური შეტევისათვის...“

სწორედ იმ დროს, როცა რადიოში ეს სიტყვები ისმოდა: ბავშვმა კისერზე კანაფი მოაბა და ლურსმანზე ჩამოჰკიდა პიტლერის ბიუსტი. ერის ხეივანმა თვალი შეისწრო ამას და ბავშვს გაბრაზებით შესძახა:

— ფიურერს კისერი მოსტყდება, კისერი მოსტყდება მეთქი!

შემდეგ მამა კიდევ უფრო გაუწყრა, როცა შეხედა, რომ ფრიცმა იდაყვის გაკვრით ერთერთი ბიუსტი გადააგდო და ნამსხვრევებად აქცია.

— მხეცი, პირუტყვი, არამზადა, რეგენი, უტონო! — შეუყვირა მან ბავშვს და სილის გასარტყმელადც კი გაიწია, მაგრამ ამ დროს კარებზე ბეჯითი კაკუნი გაისმა, შემდეგ კარი უცხად გაიღო და საბლში გესტაპოელი შევიდა.

— ერის ხეივან, დაპატიმრებული ხარ, შენც და შენი ოჯახის წევრებიც.

— შე? — ლულულულით შეეკითხა ხეივანს, — რატომ?

— შენე აგიტაციისათვის.  
— რაში გამოიხატება აგიტაცია? შე ჩემი სამუშაოს გარეშე სიტყვა არ დამიძრავს, არც ჩემი ოჯახის წევრებს ამოუღიათ ხმა.

— შენ საჯაროდ შეურაცყოფ ფიურერს, არ გჯერა მისი მთავარსარდალური ნიჭი და აცხადებ, რომ იგი საგაზაფხულო შეტევების დროს კისერს მოიტებს.

— არასოდეს ჰერ, ფიურერის შეურაცყოფა ფიქრშიც არ გამიფლია.

— სტყვი, შენ ხმაშალა ჰყვიროდი: მხეცი, პირუტყვი, არამზადა, უტონო, მაშ ვისზე იტყვიდი ამ სიტყვებს? მაგრამ კმარა, გამოიყვივით.

გესტაპოელმა რეზინის ჯოხის ცემით გაიყვანა ინვალიდი ხეივანი და მისი ცოლშვილი, რათა ისინი ფაშისტურ სამსჯავროსათვის წარედგინა.

დიდ საგონებელში ჩავარდა ყაფარუნების ბავუნით მიშავალი ხეივანი. — როგორ შეეძლო თავის მართლებას, როცა მან ნამდვილად წარმოსთქვა სიტყვები: „მხეცი, არამზადა, უტონო“ და გესტაპომ კარგად იცის, რომ ხალხი ამ სიტყვებში ნამდვილად „ფიურერს“ გულსხმობს?

ფარსალანი

ნ.ბ. დონბასი



1. პროფესორ ღომხალბერგს დაავალეს სადისერტაციო შრომის დაწერა თემაზე: „ვინ შეიძლება დაუპირისპირდეს ბარონ მიულ-ჩაუნენს, როგორც ცოცხალი სახეებით მოლაპარაკებს?“ იგი დიდხანს ეჭვბოლოვდა ტიპს.

2. ბერლინის ქუჩაზე მას რადიო-რუბორიდან შეესმა: „მოიხი-ნეთ პროპაგანდის სამინისტროს მორიგი ინფორმაცია — ჩვენა მორიგი გამარჯვების შესახებ“. ღომხალბერგს სახე გაუბრწყინდა და შეინისაკენ მოკურცხლა. — ევრიკა! აღმოვაჩინე, — შეხება მან, — „ბატონი გებელსი სწორედ ცოცხალი სახეებით მოლაპარაკობს, მისი ინფორმაციის დროს ჰაერი ივსება იხვებით“.

### ბერის რეპინჯა

მიუნხენის გარეუბნის ბნელ ქუჩაზე მოზე ჰაფენგეიერის ლუღხანა იმით აწოტოვდა, რომ მისი „სტუმრები“ უმთავრესად შესდგებოდნენ ქურდებისა, ბანდიტებისა, კაცისმკვლელებისა და სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებისაგან, რომელთა უმეტესობა სწორედ ამ უბანში იფარავდა თავს. თვით ჰაფენგეიერი ცნობილი ბანდიტი იყო და მრავალ ბოროტებათა ჩამდენი. მან თავის მკვიდრი ბიძაც გამოასალმა სიცოცხლეს, რათა მის ქონებას დაპატრონებოდა. მაგრამ ჰაფენგეიერს მაინც ბედი არ სწყალობდა, როგორც თვითონ იტყვოდა ხოლმე. იგი იმდენ სიმდიდრეს მაინც ვერ იძენდა, რომ მისი მოქიშპე ლუღხანების პატრონები თავის ქსელში მოექცია და ლუღის წარმოებათა „მეფე“ გამხდარიყო.

გამდირებზე მეოცნებე ჰაფენგეიერი არავითარ ბოროტმოქმედებათა წინაშე არ იხვედა, ოღონდ დასახული მიზანი განხორციელებოდა.

— ხომ ხედავთ, თქვე ქურქებზე, რა ძნელი საქმე ყოფილა კაცის გამდირება. ვინა ცოტა რამ ფიქრებითა ჩემს სიცოცხლეში, რომ ჩემი მეტოქეებისათვის ბოლო მომეღო?

— მაგრამ, ჯერჯერობით მაინც ბედი არ მწყალობს, — ბედი, რომელიც ხვალ შეიძლება ბედნიერებას მიმზადდეს. ამიტომაც საქირა მეტის გაკეთება.

— დაე იცოდნენ ჩემმა მეტოქეებმა, რომ მე იგივე მოზე ჰაფენგეიერი ვარ, — რომელსაც სხვების იმოდენა სისხლი დაუღვრია, რომდენიც ლუღის კასრში ლუღია ჩასხმული!

ასე ეუბნებოდა იგი სწორად თავის ცოლს, რუმბივით დამრგვალებულ მარიეტას და თავის შვილს, ათი წლის ელუარდს, რომელსაც იგი „თავის მკურნა“ ჰქვია.

სწორედ იმ ხანებში, ამ ათიოდე წლის წინად, როცა ჰაფენგეიერი ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ლუღხანის მუღბე მოქიფე სტუმრების ერთმა ჯგუფმა ასეთი წინადადებით მიმართა მას:

— ჰერ ჰაფენგეიერ, ჩვენ საუცხოვოდ ვიცით რა გაწუხებთ თქვენ: თქვენ გინდათ გამდირება. ეს თქვენთვის აუცილებელია. ამ საქმის გაკეთება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ოღონდ...

ჰაფენგეიერმა მათ სიტყვა მოუწყვიტა და თვითველ მათგან ცალი თვალთ ახედ-დახედა.

— რაო, დამცინით? ერთი მიბრძანეთ, თქვენ თვითონ გინა ხართ, რომ მე გამდირებას მიპირდებით? ეგებ რომელიმე თქვენგანი კრუბია, ან ტისენი, ან სიმენსი?

და ის იყო, ერთი მათგანისათვის სახეში უნდა ჩაეფარებინა, რომ „სტუმრებმა“ მას მათვე ამართული სელი ჰაერში გაუჩერეს. თვითონ იგი ჰაერში აიტაცეს და ლუღხანის „სალონი“ შეიტანეს.

კორანის შემდეგ ჰაფენგეიერი დამშვიდებით ისტუმრებდა მუშტრებს. ამის შემდეგ მისი ლუღხანა გადაიქცა იმ ადგილად, სადაც პოლიტიკური ავანტიურისტები საიდუმლო კრებებს მართავდნენ და ღონისძიებებს სახადდნენ სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

არ გასულა დიდი დრო, რომ გამდირებზე მეოცნებე ჰაფენგეიერი უსაზღვრო აღტაცებას ეტოვოდა იმის გამო, რომ მისი ლუღხანა ისტორიულ ადგილად გადაიქცა. ლუღხანის კედელს აშშენებდა დაფა წარწერით:

„ამ დადიოდნენ და საიდუმლო კრებებს აწყობდნენ ფიურერი ადოლფ ვიტლერი, ვერინგი, იოზეფ ჰებელსი“.

ჰაფენგეიერს ბედი უდიდოდ. იგი იმდენი იყო საცხე, რომ ახლა მაინც მისი ოცნება ფრთებს შეისხამდა. — ქვეყნის მპყრობელი დაპირებას შეასრულებდნენ და გამდირებდნენ მას.

ამის შემდეგ გავიდა თითქმის ათი წელი. ჰაფენგეიერის ამ ხნის ცხოვრების ისტორია ძალიან უფერულია. იგი არაფერს არ გახსენებია და მისი ქონება არა თუ გაიზარდა, პირიქით, მისი ლუღხანიდან მხოლოდ ნახევრად დანგრეული შენობა დაარჩა. სადაც დღეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჭრილებისათვის ლაზარეთია მოწყობილი. თვით ჰაფენგეიერი ისე ჩაივიდა საღვთ-ში, რომ მისი ოცნება განუხორციელებელი დაარჩა. მხოლოდ სიკვდილის წინ მან მოასწრო ელუარდისთვის ეთქვა: „მე მაინც ჩემსავით ბედი არ გააწირავს, ეკადრე, შევიღო, გამდირდრე და ბედნიერი გახდეთ“.

და მართლაც, ახალგაზრდა ელუარდს ხელისუფალნი არ ივიწყებდნენ, მას ყურადღებით ექცეოდნენ, „ზრდიდნენ“ და პატრონობდნენ. ელუარდს „არაფერს ვუღო“ უფთხავდა.

მას მამის ბეჭედი თვისებები აღმოაჩნდა, მხოლოდ ერთი თვისების გამოკლებათ: დაჯიჯივებული ადამიანი შეამჩნევდა, რომ მამა შეილზე უფრო გაბე-

ღული იყო. სწავლა მას თავიდანვე არ იზიდავდა და ორც არაფერ აიძულუნდა მას ესწავლა. იგი პატარაობიდანვე ეცნობოდა ფაშისტურ „თეორიას“, „განათ-ლებლა მზამია“, „აღზრდის მთელი პროგრამა უნდა შეადგენდეს ოთხ ცნებას: რასაც, იარაღს, ფიურერს, რელიგიას“.

ელუარდი ამყობდა მით, რომ ის იცნობდა 14 წლის მოზარდს ჰენც სრის-ტენს, რომელმაც ქალაქ ესენში მოკლა თავისი ძმა-ბიძე ფრიც ვალკერპორტი, 13 წლის ყმაწვილი, რომელსაც მეკვლემა წინასწარ გაუთხარა სამარე, შემდეგ ცოცხალი ჩაავლო შიგ და მანამ ამყოფა ქვიშაში პირამხობილი, ხანამ არ დაიხრჩო. და ეს მან ჩაიღინა იმისათვის, რომ დაუფლებოდა ვალკენპორ-ტის—პიტლერული მოიერიშის კოსტუმს. ელუარდს ძალიან სწყუროდა მსგავსი რამ ჩაეღინა. ხან კიდევ გადასწყვიტა მასზე უმცროსი სკოლის ამხანაგის წყალში დახრჩობა, მაგრამ ვერ გაბედა.

ასეთი მომზადებით და სულიერი ავლადიებით დაიწყო მან ფაშისტურ გერმანიის ჯარში სამსახური—უკანასკნელი სამი წლის წინად. იგი თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა მამის ანდერძის მიხედვით ბედნიერი გამხდარიყო. და თუ სიმდიდრე არა, სახელი მოეხეჭა, მკერდზე რკინის ჯვარი ჩამოეკრა.

ამ ხნის განმავლობაში იგი ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა საფრანგეთში, ბელგიაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში, პოლონეთში და ბოლოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

მართალია, იგი პირველ ხაზზე არასდროს არ ყოფილა, მაგრამ ბევრჯერ უტვია ჯილდოზე ყოფილიყო წარადგენილი.

— ნუ თუ ბედმა გამწირა და ჩემი ცხოვრება უფერულად უნდა დასრულდესო? — სწორად იტყვოდა ხოლმე თავისთვის.

უკანასკნელად იგი მოხვდა ერთერთ ოკუპირებულ რაიონში, სადაც ფაშისტური არმიის დივიზია იყო დაბანაკებული.

ფერდორი ჰაფენგეიერს ბრძინება გადასცეს მისი ოცეულით სხვა რაიონებთან მომავალი გზები გაეკრა, — მცველები დაიყვანდნენ.

ინსტრუქციის მიხედვით, იგი ვალდებული იყო თვითველ მიზნად მიზნად გაეჩხ-რიკა „განურჩევლად სქესისა და პასაკისა“ და თუ ვინმე დამაკმაყოფილებელ განმარტებებს არ მისცემდა თავისი პირადობის შესახებ, დაეტოვებინა და კომენდანტისათვის წარედგინა. ასეც მოიქცა, ჯარისკაცები თაიანთ პასტრე-ზე დააყვანა, თვითონ კი ერთ ადგილას ჩამოჯდა და თქირობს მიეცა:

მას თვალწინ წარმოუდგა უმცესანიშნაიგნის ქალი, რომელიც შორიდან ოპო-ლოვდებოდა. მას ესმოდა მისი წყრიალა ხმა:

„მენი ბედი ვარ, მენი ბედი ვარ“... ელუარდს სახე გაუბრწყინდა, გული აუტკვრდა. ამ დროს მას მოესმა მისი ჯარისკაცის შემახება: „მესდებ, გინა ხარ!“

ელუარდი წამოეგარდა. მის ახლოს ედღაც მოხუცი ქალი მოჩანდა, რომელიც მისკენ ჯარისკაცს მოჰყავდა. მოხუცს ხელში კალთა ეჭირა. მან უსაამოვნებდა იგარძნა.

— საიდან? გინა ხარ? — დაუყვირა მან მოხუც ქალს. მოხუცმა არაფერი მიუღო. ჯარისკაცები შეგროვდნენ და მოხუცს დასცი-ნოლდნენ.

— ხედავთ, როგორ ვეკაცავით უქირავს თავი? — სითბობდნენ ასინი. — გეკითხები, გინა ხარ მეტეი? — განუმეორა ისევე ჰაფენგეიერმა მოხუცს. — არაფერი მესმის, რა გინდათ ჩემგან! — გაისმა მოხუცის ნაღვლიანი ხმა. — როგორ თუ არაფერი გესმის? ესე რა, არ გინდა ჩვენი ვაიგონო? ახ-ლავე გაიგონებ! წამოხვევი!

მოხუცი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. — შეპკართი და წამოიყვანეთ! — უბრძანა მან ჯარისკაცებს. და ის იყო ჯარისკაცებს ძალა უნდა ენმართ მოხუცზე, რომ ამ დროს მან კალთა მი-წაზე დახვებდა. ვაისმა გრილი, თითქმის მიწა და ცა ერთმანეთს დაეჯახნო.

ბოლის ვაიგონების შემდეგ, ახლომხლო ეყარნენ დახოცილი ჯარისკაცები, ცოტა მოშორებით მოსჩინა მკვდარი ახლოგაზრდა ქალი. ეს იყო მარ-ტიონანელი, რომელსაც დედაბრის პირიქი გაეკეთებინა.

იქვე ედღო სასიკვდილოდ დაჭრილი ჰაფენგეიერი, რომელიც კვდებოდა და რომლის წინაშე ერთხელ კიდევ გამოჩნდა ის ლამაზი ქალი, რომელიც მას ჩამდინებე წუთის წინად ბედათ მოეჩვენა. ახლა კი მის მიერ რამდენიმე წუ-თის წინეთ ოცნებით წარმოდგენილი ქალი იცინოდა, — მხოლოდ ეს სიცილი არ იყო მისთვის საიმელო, გამამხნევებელი, არამედ ეს იყო ბედის დაცხევა.





— ხომ არაფერი გაქვთ სამხიარულო გრელი ჩახაცმელი... ქმარი მომიკლეს ფრონტზე.



ახლა, როცა ცხოვრების პირობები თანდათან რთულდება, გეობანიის მოსახლეობაში ძლიერდება უზრდელობა და უზრდელორი ურთიერთობა. საჭიროა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა. — წესურებს ფაშისტური პრესა“.

გაზეთებიდან

გაზიარდა შემთხვევები, როცა გერმანულმა ფინელ ჯარისკაცებს ქუჩაში თბილ ტანსაცმელს ხელს ვინეთის სარდლობამ კი ბრძანება გამოსცა თბილ ტანსაცმელის დაკარგვის ყველა შემთხვევაში ფინელ ჯარისკაცს გადაახდევინონ ღირებულება და გაასაგართლონ ისინი.

გაზეთებიდან

ნაბ. დონისა

ბერლინის ერთ-ერთი უბნის გესტაპოს განყოფილების უფროსს ვაჟის კაბინეტში თავი მოუყრია ხელქვეითებისათვის და ეკითხება: — თქვენ წაიკითხეთ...

— არა ჰერ, არ წაგვიკითხავს! — უპასუბებენ გესტაპოელები ერთხმად.

— დაიკათ თქვე ბრიყვებო, რა იცით რას გვეკითხებით, ჯერ ხომ წინადადება არ დამისრულებია!?

— ვიცით, ჰერ! რაკი წაკითხვაზეა საქმე ალბად გვეკითხებით გაზეთი ან წიგნი თუ წაიკითხეთო, ჩვენ კი გაზეთებსა და წიგნებს არ ვკითხულობთ, ჩვენ როგორც ჰემმარიტი არიელები წიგნებს მხოლოდ ვწვავთ.

— ბრიყვებო, არამზადებო, განა ყველა წიგნი და გაზეთი უნდა დასწვათ?

— აკი გვასწავლეთ უნდა დასწვათო! იმ დღეს თქვენი ბრძანებით არ დასწვით პოეტის ჰენრიხ ჰეინეს ლექსები?

— ეს მართალია, მაგრამ არის წიგნი, რომელსაც მოწიწებით უნდა ეპყრობოდეს ყველა არიელი — ეს არის ფიურერის „ჩემი ბრძოლა“...

— ჰაილ ფიურერს! — ვიცით, მაგრამ თქვენვე არ ამბობდით მასში დიდი ბრძნული აზრებიაო, თქვენ ვერ მისწვდებითო... ჩვენც თავი გავანებეთ.

— კარგია, გაჩუმდით! — ყური დამივდეთ: ჩვენს გაზეთებში დეიწერა სტატიები ზრდილობის შესახებ. გაზეთები აღიარებენ რომ დღეს გერმანიაში თანდათან ძლიერდება უზრდელობა და უზემობა და რომ საჭიროა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა.

— ვიცით ჰერ! — წამოიძახა ახმახმა გესტაპოელმა — ეს ჩვენ რადიოთი მოვისმინეთ. პირადად მე უკვე ვიბრძვი უზემობისა და უზრდელობის წინააღმდეგ. ნება მიბოძეთ ერთი შემთხვევა მოგახსენოთ ჩემი პრაქტიკიდან: გუშინ შევნიშნე ერთ-ერთი რიგში რაღაც ჩოჩოლია, მივედი ახლოს, ვხედავ — ორი გამზდარი კაცი ერთი ძალიან მაღალი, მეორე კი ძალიან დაბალი, ერთმანეთს უხეშ შეურაცყოფას აყენებენ. მაღალი ეუბნება დაბალს:

— თქვენ უწესოდ იქცევით, ასე პატიოსანი კაცი არ მოიქცევა! დაბალი უპასუხებს:

— უწესო თქვენ თითონა ხართ... მე ბევრი აღარ დავაცალე მთავარი და შევუყვირე ჩემებურად:

— ბრიყვებო, უზრდელებო, წუპაკებო, ვირებო, ძაღლის შვილებო, არ გაგიგიათ, რომ ახლა ასეთი უხეში მოქცევა აკრძალულია? შემდეგ მოჩხუბრებს თითო პანდური ამოვკარი და გავგდე რიგიდან. თანაც ხალხს მივმართე: ხომ ხედავთ თქვე უზურებო, ჭაიხსომეთ, ვინც უხეშად და უზრდელად მოიქცევა, ყველას ეს ზედი მოეღოს.

როცა ასე მეგობრულად ვარიგებდი ხალხს ჰკუზზე, რიგში მყოფ ერთ ახალგაზრდას შევნიშნე დამცინავი ღიმილი, მე იმ წუთს მივვარდი მასთან, ჩემებურად მუშტი ცხვირში ვატაკე და შევეუყვირე: — რას იღრიკებთ, შე მაიმუნო-მეთქი; შემდეგ მივაფურთხე კიდევ, რომ არ დავიწყებოდა ზრდილობის გაკვეთილი...

— ყოჩაღ, კურტ! — მოუწონა უფროსმა, — მე მწამს, თუ ასეთ ხამაგალითო გაკვეთილებს ხშირად მივცემთ ჩვენს ხალხს, უზრდელობასა და უხეშობას ბოლო მოეღება. — და დანარჩენებსაც მოუწოდებ. — მიბაძეთ კურტს, თქვე ჰეყეჩებო, იბრძოლეთ უხეშობის წინააღმდეგ, იყავით ზრდილობის დამცველნი და მაგალითის მიმცემნი, თქვე ტუტუტუებო, ერთ წუთსაც არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ ჰემმარიტი არიელი ზრდილობიანი უნდა იყოს, არავის უხეშად არ მოექცეს, ცუდი სიტყვა არავის აკადროს. ახლა ვაეთრიეთ აქედან.

პირიმილი



— კურტ, შენ და იოჰანი რატომ ხულ ერთად დადიხართ? — იმიტომ, რომ მართლ სიარულისა მეშინიან, რადგან გერმანელები ჯერ ტანსაცმელს გამხდიან და შემდეგ კი გამასამართლებენ.

პიგლერალთა წინაპრები

„აქ წარსულ დროში ყრანტალებდნენ თავიანთ ყვაინებურ საგალობლებს და ჩირადანთა ხინათლენე ლაპარაკობდნენ და აკეთებდნენ სიხულელებს რომელნიც შეეფერებოდნენ ხაშუალო ხაუკუნეთა უკიდურეს სიჩლუნგებს — ვატბურგში ბატონობდა განსაზღვრული ტევტონიში, რომელიც ბევრს ჩაიოდა სიყვარულისა და ხარწუნობის შესახებ, მაგრამ მათი სიყვარული სხვა არაფერი იყო, თუ არა სიძულელი უცხოელთა მიმართ და ხარწუნობა კი მდგომარეობდა მხოლოდ გონიერების უქონლობაში, მათ თავიანთი უზურებობა გამო არ შეეძლოთ მოეფიქრათ უკეთესი რამ, ვინემ წიგნების დაწვა...“

...მეტისმეტად გაგვირდი მე ერთხელ, როცა გეტბინგენის ლუდხანაში მოწაწე ვიყავი თუ რა დიდი დაბეჯითებით ამზადებდნენ ჩემი ძველგერმანელი მეგობრები პროსკრიპციონულ სიებს იმ დღისათვის, როდენაც მათი ანგარიშით უნდა დაეფურთხებიათ უმაღლესი ძალა-უფლება. ყველას ვინც კი წარმოსდგებოდა, თუნდაც მეშვიდე თაობის იქით, ურანგებისაგან, ებრაელებისაგან ან სლავიანებისაგან, მიეხეგბოდათ გაწდევნა, ან სიყვდილით დასჯა...“

ეს დღევანდელი გაზეთიდან ამონაწერი კი არ არის, ეს დაწერა თითქმის ახი წლის წინად უდიდესმა გერმანელმა პოეტმა ჰენრიხ ჰეინემ. აი რატომ არის, რომ მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალულია — პიტლერულ გერმანიაში: ფაშისტები ხცნობენ თავისთავს „ჩლუნგ და გაუნათლებელ ტევტონებში“, რომელთაც ებრძოდა პოეტი.

საგაზაფხულო შედეგების შეჯამება გერმანიის მე-16 არმიის მიერ

42-48

იარაღი

წითელი არმიის მიერ ილუაშემორტყმული გერმანიის მე-16 არმიის საარდლოებანი და სხვა სახის იარაღები ირჩინოს რკალის ვარდევით, მაგრამ იგი თანდათან ნიდგურდება.

ნახ. მ. ვაღბოვლიჩი

ვაჭეთებიდან



ფონ-ბუში: ფიურერის ბრძანებაში ნათქვამია, რათაც არ უნდა დაგოჯდეთ, რკალი ვარდევით და თავები შეინარჩუნეთ. რკალს თუმცა ვერ ვარდევთ, მაგრამ თავები კი გვრჩება.